ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **93-93253444**
თარიღი: **10/12/2025**

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ანგარიშს, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

1. 2025 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა 2 განცხადება და საჯარო ინფორმაციის 13 მოთხოვნა, დაკმაყოფილდა ყველა მოთხოვნა.

2. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებობს, მოქალაქეთა მომართვების, გაცემული ინფორმაციის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბაზა, ინფორმაცია განთავსებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.lagodekhi.gov.ge პერიოდულად ხდება აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება და ბაზის განახლება.

4. საჯარო მოსამსახურეთა მიერ არ დარღვეულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები, შესაბამისად არ ფიქსირდება დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი.

5. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ დაფიქსირებულა.

6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა არ დახურულა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები, აგრეთვე საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი არ აქვს.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - თეა ივანაშვილი ivanashvilitea1@gmail.com

პატივისცემით,

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი